ვახტანგ გურული

მართალი გოდერძი

გოდერძი ჩოხელის შემოქმედების
გააზრების
მოკრძალებული ცდა

გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი 2010

კრებულში შეკიდა გოდერძი ჩოხელის შემოქმედებისადმი მიძღვნილი წერილები. წერილების ნაწილი ქართულ პრესაში გამოქვეყნდა, ნაწილი კი პირველად იბეჭდება.

© ვ. გურული, 2010

გამომცემლობა „უნივერსალი", 2010

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 22 36 09, 8(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-17-026-3

ნუ გაახმობთ მხარზე ამოსულ ნაძვს!

გოდერძი ჩოხელის სიცოცხლეშივე გამიჩნდა მისი შემოქმედებისადმი მიძღვნილი წიგნის დაწერის სურვილი. დიდი ხნის ფიქრის შემდეგ გადავწყვიტე: ვერანაირი წიგნი ვერ წარმოაჩენს გოდერძი ჩოხელის შემოქმედებას. ასეთი წიგნის წაკითხვას სჯობია გოდერძის ერთი მოთხრობა წაიკითხო, ერთი ფილმი ნახო. დღემდე აზრი არ შემიცვლია. მიუხედავად ამისა ზოგჯერ მიჩნდება ხოლმე სურვილი რაიმე დავწერო. ჩემი აზრის ქაღალდზე გადატანისაგან მაინც თავს ვიკავებდი, მეშინოდა რაიმე ისეთი არ დამეწერა, რაც გოდერძის არ მოეწონებოდა. და თუ მაინც ვბედავ წერას, ეს იმიტომ, რომ ის, რასაც დღეს მკითხველის სამსჯავროზე გამოვიტან ბევრჯერ მითქვამს გოდერძისთვის, ის იყო ჩემი მოკრძალებული ნაფიქრალის პირველი მსმენელი და შემფასებელი.

გოდერძი ჩოხელი რომ გავიცანი, იგი უკვე დიდების მწვერვალზე იდგა. ტრიუმფით სვლამ გოდერძი, როგორც ადამიანი ვერ შეცვალა, იგი დარჩა დიდ ბავშვად. ზოგჯერ დაუჯერებელ ამბებს ყვებოდნენ მისი გულუბრყვილებისა და არამიწიერების თაობაზე. მიუხედავად ამისა გოდერძი ჩოხელთან ჩემმა პირველმა შეხვედრამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. წარმოიდგინეთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სტუდენტებით გადაჭედილი დერეფანი, გზას მუჯლუგუნებით თუ გაიკვლევდი, საშინელი ხმაური. დეკანატში შემოვიდა თანამშრომელი ქალი და შეშფოთებულმა მითხრა: „საათზე მეტია ფანჯარასთან დგას გოდერძი ჩოხელი, არაფერს არ ამბობს, უხეხულია სანამდის უნდა იდგეს ასე!" მე სასწრაფოდ გავედი, გოდერძის მივესალმე და ჩემი თავი გავაცანი. კაბინეტში შემოვედით. ცოტა ხნის შემდეგ მოსვლის მიზეზი ვკითხე. გაირკვა, რომ სწორედ ჩემთან ჰქონდა საქმე. იმდენად მოკრძალებული ადამიანი იყო, რომ კაბინეტში შემოსვლა ვერ გაებედა, ელოდებოდა როცა მომსვლელ–წამსვლელი დაილეოდა. მორიდებით ეუსაყვედურე. დარცხვენილმა მიპასუხა: „რავი აბა, ამდენი ხალხი ირეოდა, მე კი არსად მეჩქარება, მაინც ნინოს ველოდები". გაირკვა, რომ გოდერძი მეუღლესთან, ქალბატონ ნინოსთან, ერთად მოსულიყო უნივერსიტეტში. ამ დღიდან დაიწყო ჩემი და გოდერძის ნაცნობობა.

ყველა ჩვენი საუბარი, შეხვედრისას თუ ტელეფონით, მხოლოდ და მხოლოდ გოდერძის შემოქმედებას ეხებოდა. როცა ჩემი ნათქვამიდან გამოარკვევდა, რომ სწორად ჩავწვდი მისი შემოქმედების არსს, თვალები გაუბრწყინდებოდა. თუ ვცდებოდი არასდროს შენიშვნას არ მომცემდა, მოკლედ მიპასუხებდა: „აბა რავი". კონკრეტული შენიშვნა მხოლოდ ერთხელ მომცა. იმ დღეს დიდხანს ვისაუბრეთ გოდერძის ერთი მოთხრობის თაობაზე, მე ჩემი ნაფიქრალი დაწერილებით გავაცანი, გაიღიმა და მითხრა: „ე რამდენი გიფიქრია ამ პატარა მოთხრობის შესახებ, მე მაგდენი არ მიფიქრია, ერთი ამბავი აღვწერე, ეს იყო და ეს". ეს „ამბავი" მე დღესაც გოდერძის ერთ–ერთ საუკეთესო მოთხრობად მიმაჩნია.

XX საუკუნის 70–80–იანი წლები ქართული მწერლობის, ქართული კინოს დიდი აღმავლობის პერიოდი იყო. იმხანად ვერ ვაცნობიერებდით, გვიან მივხვდით, რომ ჩვენს თვალწინ უამრავი საოცრება ხდებოდა. საოცრებათა შორის საოცრება იყო გოდერძი ჩოხელის პირველი მოთხრობები და ფილმები. შემოვიდა გოდერძი ჩოხელი ქართული მწერლობასა და კინოში, არავის არ გაჯიბრებია, არავის ადგილის დაკავება არ უცდია, დაიკავა ის ადგილი, რომელიც უფლის ნებით მხოლოდ მისთვის იყო განკუთვნილი. აფორიაქდა „ძველი სამყარო". ჯერ იყო და, თითქოს ვერ შეამჩნიეს. როცა „არშემჩნევა" შეუძლებელი

გახდა, მაშინ ფარისევლებმა ზემოდან დაუწყეს ცქერა „ვილაც გუდამაყრელ ბიჭს". ნიჭმა მაინც იპოვა გზა. გოდერძი ჩოხელს მოშურნეებთან ერთად უამრავი თაყვანისმცემელიც გამოუჩნდა. ყოველი მოთხრობა, ყოველი ფილმი კიდევ უფრო ზრდიდა მის ნიჭიერების მაღიარებელთა რიცხვს. გოდერძი ჩოხელის შესახებ საუბრობდნენ დიდი სიყვარულით, დიდი სითბოთი. გოდერძისთან მეგობრობა საამაყოდ ითვლებოდა. გავიხსენებ ერთი სტუდენტის ნაამბობს. გოდერძი სტუდქალაქში ყოფილა მეგობრებთან მიწვეული. დაუგვიანებია. წვეულებაზე მისულს მხრებით მიუტანია ძლიერი ქარისაგან ფესვებიანათ მოგლეჯილი პაწია ხე და უთქვამს: „ქარს მოეგლიჯა, შემეცოდა, მარტო ვერ დავტოვე და თან წამოვიღე!" ამ ამბავს რომ ვიხსენებ, ბუნებრივად მიჩნდება აზრი: გოდერძი ჩოხელი თავად იყო მისი ყველა მოთხრობის გმირი: ვაჟი გოგიც, ბერიც, მაქსინაიც, გამიხარდაიც, ბიბღაიც, შუღლაიც, სტეფანეც, აჩლახუნეც, სებაც, თადეოზიც, ლუკაც... გოდერძი ჩოხელი მაქსინასავით თავადაც დაუფიქრებლად გაჰყვებოდა მიწაზე დაშვებულ არწივს უკან, ზეცაში; თავადაც ბერისავით უყოყმანოდ ჩაიმარხებოდა მიწაში მხარზე ამოსული ნაძვი რომ არ გამხმარიყო და გამიხარადასავით, ადამიანად ყოფნა რომ მობეზრდებოდა, თევზად გადაიქცეოდა...

გოდერძის ყოველი ახალი მოთხრობა, ყოველი ახალი ფილმი სულ უფრო მეტად აბოროტებდა მის მოშურნეებს.

გოდერძი რომ ჩვეულებრივი ადამიანი ყოფილიყო, იგი ადვილად ჩაიკარგებოდა ნიჭიერ შემოქმედთა შორის და „ჩვეულებრივთა" შორის დაიკავებდა ადგილს. ეს არ მოხდა იმიტომ, რომ თავის რჩეულს უფალი „დიდთა საქმეთათვის" ამზადებდა.

გოდერძი ჩოხელი ყოველ წუთს გრძნობდა ჩასაფრებულ მოშურნეთა მზერას, ცინიზმს, ბოღმას. მის ყოველ ახალ მოთხრობას, ყოველ ახალ ფილმს ღირსეული ადამიანები, აღიარებული პროფესიონალები თუ უბრალო, რიგითი მკითხველები აღტაცებით ხვდებოდნენ, გულში იკრავდნენ გოდერძის. იყვნენ ისეთებიც, რომლებიც ყოველნაირად ცდილობდნენ დაეკნინებინათ გამოსვლისთანავე შედეგრად აღიარებული მოთხრობები და ფილმები.

ადამიანურ მანკიერებას გოდერძი სულგრძელობასა და მიმტევებლობას უპირისპირებდა. მე არასდროს მინახავს ვინმეზე გაბოროტებული გოდერძი ჩოხელი, თუმცა ბევრი რამ, რაც მის გარშემო ხდებოდა, არ მოსწონდა, ვერ ეგუებოდა, გულს ტკენდა...

ავტორთა კოლექტივთან ერთად საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოს ვწერდი. კარგად მახსოვს, როგორ მოვიდა ჩემთან რამდენიმე, საზოგადოებაში მიღებული ადამიანი და XX საუკუნის მეორე ნახევრის ქართული მწერლობისა და კინოს ისტორიიდან გოდერძი ჩოხელის გვარის ამოღება მთხოვა. ერთ–ერთმა მათგანმა გოდერძის

ნაცვლად წიგნში შესატანად საკუთარი კანდიდატურა წარმომიდგინა. საკმაო ხანი დავყავი ამ ქვეყნად და ასეთი უზნეო ადამიანი არც მანმადე და არც შემდეგ არ შემხვედრია. მე ეს ამბავი გოდერძისთვის არ მითქვამს. თუმცა გოდერძიმ, ცხადია, გაცილებით მეტი იცოდა. იცოდა ისიც, რომ მისი „კრიტიკა" ყოველთვის ერთი ცენტრიდან იყო ხელმე შეკვეთილი. ერთმა საზოგადოებაში ძალზე პოპულარულმა მოღვაწემ მავანის დავალებით მწერალთა კავშირში „კრიტიკის ქარცეცხლში" გაატარა გოდერძი ჩოხელის შედეგრი „ადამიანთა სევდა." გოდერძის იმდენად ეტკინა გული, რომ ლამის იყო წონასწორობა დაკარგა. მწერალი პასუხს ითხოვდა კითხვაზე: რატომ არ მოსწონდა მომხსენებელს „ადამიანთა სევდა?" პასუხს კი, ცხადია, ვერავინ გასცემდა. 1987 წელს საქართველოს კინემატოგრაფისთა ყრილობაზე ასევე საზოგადოებისათვის კარგად ცნობილმა პიროვნებამ გოდერძი ჩოხელის ფილმების უკბილო კრიტიკა წარმოადგინა. ყველასათვის ცხადი იყო, რომ ეს კრიტიკა ასევე შეკვეთილი იყო. ერთხელ გამბედაობა გამოვიჩინე და ქართულ მწერლობაზე საუბრისას განვაცხადე: „გოდერძი ჩოხელი, რომ დიდი ერის შვილი იყოს, მისი „მგელი" აუცილებლად ნობელის პრემიით აღინიშნებოდა!" ერთმა ადამიანმა, რომელსაც ყველა სამეცნიერო ხარისხის, წოდებისა და პრემიის მიღება მოესწრო, ცინიკურად გადმომხედა და მკითხა: „თქვენ იცნობთ გოდერძი ჩოხელს?"

იმხანად გოდერძი ჩოხელს არ ვიცნობდი. ის ცინიკოსი მხოლოდ გოდერძის მტერი არ იყო, იგი საქართველოს მტერი იყო!

საქართველოში განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებულ მწერალსა და რეჟისორს რა დალევს! დიდხანს ვფიქრობდი, მინდოდა მეპოვა პასუხი კითხვაზე: რით იყო ნიჭიერთაგან გამორჩეული, განსაკუთრებული გოდერძი ჩოხელი? – გოდერძი ჩოხელი გამორჩეული იყო იმით, რომ ყოველი ფილმით, ყოველი მოთხრობით იგი ქმნიდა თავის სამყაროს. მწერლის თითოეული სიტყვა და ფრაზა ამ სამყაროს შექმნას ემსახურებოდა. გოდერძი ჩოხელის სამყაროში წაშლილია ზღვარი ადამიანებს, ცხოველებს, ფრინველებს, მცენარეებს შორის. ისინი ყველანი ერთი მთელის განუყოფელი ნაწილები არიან, მათი არსებობის წესია ერთ მთლიანსა და ჰარმონიულში არსებობა. გოდერძი ჩოხელმა წაშალა ზღვარი ამქვეყნიურსა და იმქვეყნიურს შორის, სიცოცხლესა და სიკვდილს შორის, „ადამიანად ყოფნასა" და „ადამიანად არყოფნას" შორის. ამიტომაა, რომ არ დასცილდნენ ერთმანეთს გოდერძის არწივი და ადამიანი, ამიტომაა რომ ადამიანმა არ მოიგლიჯა მხარზე ამოსული ნაძვი, მიწაში ჩაეფლო, რომ ნაძვისათვის სიცოცხლე შეენარჩუნებინა, ხოლო ადამიანად ყოფნა რომ მობეზრდა, თევზად გადაქცევა არჩია.

გოდერძი ჩოხელს უთქვამს: ვაჟა ღმერთს ჩამოუვარდა ზეციდან, მე ვაჟას გავუვარდი ჯიბიდანო! ესეც უთქვამს: ვაჟას ვაზნა ვარ, ჯერაც თოფიდან გაუსროლელიო! გოდერძი ვერ იტყოდა, უფრო ზუსტად არ იტყოდა იმას, რაც ჩვენ უნდა ვთქვათ. გოდერძი ჩოხელი ქართულ მწერლობაში შემოვიდა ვაჟა–ფშაველას მოვლენიდან ერთი საუკუნის შემდეგ. რომ არ ყოფილიყო ვაჟა მაშინ ჩვენი აღტაცება გოდერძის შემოქმედებით სრულიად ბუნებრივი იქნებოდა. გოდერძი ჩოხელი დიდია იმიტომ, რომ მისმა შემოქმედებამ ვაჟას შემდგომი ქართველობა გააოცა, გააოგნა და აღაფრთოვანა. გოდერძი ჩოხელი ვაჟას მემკვიდრეა ქართულ მწერლობაში! ყოველივე, რაც ზემოთ მოგახსენეთ, სიტყვა–სიტყვით მაქვს ნათქვამი გოდერძისათვის. ყურადღებით მისმენდა, ბოლოს თავი ჩაღუნა და ისე, რომ თავი არ აუღია, მითხრა: „მართლა ასე ფიქრობ?" მივხვდი, რომ მისთვის ძალიან ფაქიზ საკითხს შევეხე. გადავწყვიტე, ცოტა გამემხიარულებინა მძიმე ფიქრებში წასული. ამიტომ იყო, რომ ვუთხარი: „გოდერძი, კაცობრიობის ისტორიის დასაბამიდან ადამიანები ძირითადად ორი რაიმეს – თანამდებობის მიღებისა და ფულის მოხვეჭის მიზნით ცრუობენ. შენ ჩემთვის თანამდებობის ბოძება არ შეგიძლია, არც ფული გაქვს, რომ მომცე. ასე რომ, მე შენგან არაფერს არ ველი, მერწმუნე, რაც გითხარი, გულწრფელად გითხარი". სიცილი აუვარდა, იცინოდა ლაღად და გულიანად. ასეთი

გახარებული, ასეთი მომღიმარი გოდერძი ჩოხელი მე პირველად და უკანასკნელად ვნახე.

გოდერძი ჩოხელთან მეგობრობა წამიერად მისი სამყაროს ნაწილად მაქცევდა ხოლმე. მე ვიგრძენი: ჩემ მიერ წინათ აღქმული სამყარო რა უფერული, უინტერესო, ერთფეროვანი ყოფილა! გოდერძი ჩოხელის სამყაროში თუნდაც წამიერად გადასახლებამ მე შემაძლებინა ამეხსნა, თუ რას გვიკიჟინებდა მწერალი: „ნუ გაახმობთ მხარზე ამოსულ ნაძეს!"

ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში შეერყა გოდერძი ჩოხელს ჯანმრთელობა. ეს არ იყო არაადამიანური შრომის შედეგი. გოდერძის შეეძლო კიდევ ათასი მოთხრობა დაეწერა, გადაეღო ბევრი ფილმი და დიდხანსაც ეცოცხლა. გოდერძის გულმა ვერ გაუძლო იმას, რაც მის გარშემო ხდებოდა. გოდერძის გულს ტკენდა ყველაფერი: ირემს რომ კლავდნენ, არწივს რომ გალიაში ამწყვდევდნენ, ხეს რომ ჭრიდნენ, ყვავილს რომ თელავდნენ, ხარს რომ დასაკლავად იმეტებდნენ, ჩოხი და ბევრი სხვა სოფელი რომ იცლებოდა, ჭირი რომ მრავლდებოდა და ჭირისუფალი კი მცირდებოდა. გოდერძის გულს ტკენდა ის, რასაც ჩვენ გულგრილად აღვიქვამთ. რამდენჯერაც არ უნდა გაევლო ჟინვალში, გოდერძი ჩოხელს მუდამ აგონდებოდა „ძველი ჟინვალი", თავისი „პატარა ეკლესიებით," წყალსაცავის ქვეშ რომ მოჰყვა. ახსენდებოდა გუდამაყარი და გუდამაყრელები ისეთი,

როგორიც მან ნახა და როგორსაც ველარასოდეს ველარ ნახავდნენ მისი შვილები და შვილიშვილები. ეს დიდი ტკივილი და კიდევ რამდენი ასეთი ტკივილი სიცოცხლის ბოლომდე ატარა გოდერძის გულმა. მის გულში არსებულ საქვეყნო (საკაცობრიოც!) სატკივარზე იშვიათად საუბრობდა. თუ სატკივარს ვინმე მიუხვდებოდა, თვალები გაუბრწყინდებოდა, ცას ეწეოდა ხოლმე სიხარულით. სატკივრის წამალი თავად არასდროს უძებნია. მისი მალამო ისეთი გულის ადამიანი იყო, როგორი გულიც თავად გოდერძის უძგერდა მკერდქვეშ. ასეთი ადამიანები კი ვერ იპოვა გოდერძი ჩოხელმა! ვერ იპოვა და თავად გამოიგონა. გოდერძის მიერ გამოძერწილი ადამიანები: ბერი, მაქსინაი, გამიხარდაი, ბიბღაი, შუღლაი, აჩლახუნე, თადეოზი, ლუკა, სება და მარავალი სხვა – სწორედ ის ადამიანები იყვნენ, რომლებიც რეალურ ცხოვრებში ვერ იპოვა გოდერძიმ. რაც იცოცხლა, სწორედ მის მიერ შექმნილი გმირების სამყაროში იცოცხლა. გული მაინც სტკიოდა. სტკიოდა იმიტომ, რომ ცოტანი იყვნენ მისი სამყაროს გმირები. ამიტომ იყო, რომ დაუცხრომლად ძერწავდა ახალ გმირებს.ყოველი ახალი მოთხრობა კიდევ ერთ ან ორ გმირს მატებდა მის სამყაროს. თუმცა ესეც საკმარისი არ იყო, მაინც ცოტანი იყვნენ. უკმარისობის გრძნობა თან სდევდა გოდერძის პირველი მოთხრობის დაწერიდან, პირველი ფილმის გადაღებიდან სიცოცხლის ბოლომდე. გულმა ველარ გაუძლო. გოდერძი

გრძნობდა, რომ ათასი გამიხარდა, ათასი ბერი, ათასი სება რომ შეექმნა, იგი სამყაროს მაინც ვერ შეცვლიდა, სანამ იცოცხლებდა, უნდა ეცოცხლა მისი შექმნილი გმირების გარემოცვაში. ადამიანები კი მაინც ისეთები რჩებიან, მათ უმრავლესობას ცოდვიანი ცხოვრება არ ეთმობა. ამის აღიარება, ამის დაჯერება არ უნდოდა გოდერძის. გოდერძი ჩოხელი დარწმუნდა, რომ მის გარშემო არსებულ სინამდვილეს იგი ვერასდროს შეეგუებოდა. ყველაფერმა ამქვეყნიურმა გოდერძისთვის აზრი დაკარგა... „ადამიანად ყოფნის ტკბილი სევდა" დასრულდა, დაიწყო „ადამიანდ არყოფნის სევდა". აკი თქვა კიდეც: „სიკვდილი ვალია, უნდა მოიხადოს კაცმა ვალი".

სამთავროს დედათა მონასტრის ეზოში რჩეულ ქართველთათვის განკუთვნილმა მიწამ მიიბარა გოდერძის ნეშტი. სული კი ამაღლდა ზეცად და ვაჟას დაუდგა მარჯვნივ

26 მაისი, 2010 წელი

მართალი ბუთულა ცოდვილთა შორის

აუცილებლად დადგება დრო, როდესაც გოდერძი ჩოხელის „საზიარო ყვავს" მკითხველი მწერლის სახელისა და გვარის გარეშე მოიხსენიებს. ეს ბედი არ ასცდება გოდერძის კიდევ ბევრ მოთხრობას, რომანსა და ფილმს. ეს იქნება მწერლისა და რეჟისორის უკვდავების უტყუარი დასტური!

გოდერძის უკვდავება მისი ერთ-ერთი პირველი მოთხრობიდან – „საზიარო ყვავიდან" დაიწყო. მოქმედება გუდამაყრის სოფელ ჩოხში ვითარდება. ქართველი, გუდამაყარი თვალითაც რომ არ ენახოს, ადვილად წარმოიდგენს ულამაზეს ხეობას ბუბერაზი მთებით და არაგვით, „ტალღაზე მთხვევა" რომ მოგინდება; თავისი ძალისა და ღირსების სრულიად შემცნობი ცაში მონავარდე არწივებით, ბანიანი სახლებით და იშვიათი, ფაქიზის სულის ადამიანებით. ქართველი, ასევე ადვილად წარმოიდგენს, როგორ გამოჩნდება მაღლა, ცაში, შავი წერტილივით ყვავი და როგორ დაეშვება ძირს – მოსამართლის ქუდისაკენ. ყოველივე ამას უცხოელი ვერ წარმოიდგენს. მიუხედავად ამისა, უცხოელისათვის „საზიარო ყვავი" მშობლიურივით

ადვილად აღსაქმელია. ადვილად აღსაქმელია იმიტომ, რომ შედეგრია, შედეგრს კი გეოგრაფიული, ეთნიკური, რელიგური, სოციალური და საერთოდ არანაირი საზღვარი არა აქვს. შედეგრი ყველას საკუთრებაა...

და მაინც, „საზიარო ყვავს" ქართველისათვის გაცილებით მეტი ღირებულება აქვს. მოთხრობის სიუჟეტში არის ადგილები, რომელთა ნიუანსობრივი გააზრება შედეგრის აღქმისათვის სულაც არ არის საჭირო, მაგრამ საჭიროა თემისათვის – გოდერძი ჩოხელი, როგორც მისი თანამედროვე სინამდვილის პროტესტი.

„საზიარო ყვავი" XX საუკუნის 70–იან წლებში დაიწერა. ეს ის დრო იყო, როდესაც საბჭოთა ციხეები სავსე იყო „სხვაგვარად მოაზროვნეებით", რეპრესიები არ წყდებოდა. იმხანად ვერავინ წარმოიდგენდა, რომ 1991 წელს საბჭოთა იმპერია სერიოზული გაბრძოლების გარეშე დაიშლებოდა. ველიკოდერჟავული აზროვნება განუყოფლად ბატონობდა კრემლის პოლიტიკურ ლიდერთა შორის. უზარმაზარი იმპერია იმართებოდა პრიციპით: ძალა თუ გაქვს, ჭკუა არ გჭირდება. აი, ასეთ ვითარებაში იწერებოდა „საზიარო ყვავი".

„საზიარო ყვავი" იწყება მოსამართლისა და სოფლის დეკანოზ ბუთულა ჩოხელის დიალოგით – ბუთულას დაკითხვით. მწერალი მოვლენის დროში ლოკალიზებას განგებ არ ახდენს. მიუხედავად ამისა, აშკარაა, თუ რომელ

ეპოქაში ხდება ამბავი... საქმე საბჭოთა სასამართლოში იხილება. ამაზე სულ რამდენიმე წინადადებით მიანიშნებს მწერალი. მოსამართლე შეიტყობს ბუთულას მიერ ყვავის მოშინაურების ამბავს და ეკითხება დეკანოზს:

– მოიცა, მოიცა... თქვენ გყავდათ საკუთარი ყვავი, არა?..

აშკარაა, რომ მოსამართლე შეშინდა, შეშინდა იმიტომ, რომ არ იცოდა, ბუთულას მიერ ყვავის კერძო საკუთრებად ქცევა კანონსაწინააღმდეგო ქმედებად ჩაეთვალა თუ არა. დაბნეული მოსამართლე დროს იგებდა. სწორედ ამიტომ წარმოთქვა გაურკვევლ ვითარებში ჩავარდნილი საბჭოთა მოსამართლეებისათვის ჩვეული სიტყვა:

– გასაგებია.

ბუთულასათვის კი ყველაფერი გაუგებარი იყო და ამიტომაც კითხვაც ბუნებრივად დასვა:

– რა არის გასაგები, კაცო?

ამას კი ბრიყვი, მაგრამ ცბიერი მოსამართლე აღარ ელოდა. თანამდებობის დაკარგვის შიშით შეპყრობილი თემიდას მსახურისაგან ბუთულა გასაგები ენით საუბარს ითხოვდა. მოსამართლე ისევ დროს იგებდა. ბუთულას დაშინების მიზნით იგი შეტევაზე გადავიდა და გაბრაზებულმა ისევ უაზრო პასუხი მისცა:

– ის, რომ თქვენ მიისაკუთრეთ ყვავი, გესმით?

იყო თუ არა ყვავის მისაკუთრება კანონით დასჯადი ქმედება, მოსამართლემ არ იცოდა, ამიტომ იყო, რომ ბუთულას ბრალი ვერ წაუყენა. კანონებში ვერც ბუთულა ერკვეოდა, მაგრამ იმას კი მიხვდა, რომ მოსამართლე მის მიმართ კეთილად არ განეწყო. თავისი უდანაშაულობის დამტკიცება დეკანოზმა ბუთულა ჩოხელმა მორწმუნე ადამინისათვის სრულიად ბუნებრივი გზით სცადა. დეკანოზმა აზრი მოიკრიბა და დაიწყო:

– ღმერთია მოწმე...მე...

აქ კი გოდერძი ჩოხელმა უკვე პირდაპირ მიანიშნა საბჭოთა ეპოქაზე და საბჭოთა სასამართლოზე. გგანრისხებულმა მოსამართლემ ბუთულას სიტყვა გააწყვეტინა:

– ღმერთი! ღმერთი არ გამაგონო!

შეშინდა ალბათ უკვე მრავალგზის დაშინებული დეკანოზი ბუთულა და ძლივს წაილუღლუღა:

– მაპატიეთ... ეს ისე...

მეტის თქმა საჭირო აღარ იყო. მწერალმა სულ რამდენიმე წინადადებით შეძლო დაეხატა საბჭოთა მოსამართლის პორტრეტი.

თუ რა საფრთხე ემუქრებოდა გოდერძი ჩოხელს საბჭოთა სასამრთლოს და მოსამართლის ასე გაშარჟებით, დღეს შეიძლება მთელი სისრულით ვერც წარმოიდგინოს ახალგაზრდა მკითხველმა. ეს სიტყვები იწერებოდა 25–30

წლის წინათ, იმ პოლიტიკური რეჟიმის პირობებში, რომელიც „სხვაგვარად აზროვნებას" გამორიცხავდა. მეტის გაკეთება იმხანად შეუძლებელი იყო. მკითხველი ისედაც მიხვდებოდა: გოდერძი ჩოხელის მთელი არსება ეწინააღმდეგებოდა პოლიტიკურ რეჟიმს... ვინ იცის, რამდენ ქართველს დაედო მალამოდ გულზე გოდერძი ჩოხელის სიტყვები, რამდენ ქართველს აგრძნობინა მწერალმა, რომ უთანასწორო ბრძოლაში ის მარტო არ იყო...

სიუჟეტის პოლიტიკური პამფლეტის ფორმით გაგრძელება სახიფათო იყო მწერლისათვის. ამიტომაა, რომ გოდერძი ჩოხელმა თხრობას კომიკური შინაარსი მისცა და საბოლოოდ აბსურდამდე მიიყვანა. აბსურდი კი ერთნაირად ამხიარულებს გონიერ მკითხველსაც და მრისხანე დიქტატორსაც. მიუხედავად იმისა, რომ ამ აბსურდის ერთ–ერთი მთავრი მოქმედი პირი ისევ ის ცბიერი საბჭოთა მოსამართლეა, მოთხრობა პოლიტიკურ სიმწვავეს კარგავს და მხატვრულ შედეგრად იქცევა. აბსურდი ხშირად იმასაც კი ღიმილს ჰგვრის, ვინც მასში თავის თავს ხედავს.

გოდერძი ჩოხელს ჰქონდა ერთი თვისება. მოიგონებდა ისეთ სიუჟეტს, რომელიც შეიძლებოდა მხოლოდ გენიოსს შეეთხზა. და როცა მკითხველი აღტაცებული რჩებოდა უნიკალური სიუჟეტით, გოდერძი მოკრძალებით იტყოდა: ეს ამბავი მე არ შემითხზავს, ნამდვილად მოხდაო! გოდერძის ტყულის თქმა არ შეეძლო. მე დარწმუნებული

ვარ, რომ გარკვეული პერიოდის შემდეგ გოდერძის მართლა სჯეროდა, რომ მის მიერ მოთხრობილი ამბები მართლაც მოხდა გუდამაყარში, უმრავლესობა კი – სოფელ ჩოხში!

დავიწყოთ იმით, რომ გოდერძი ჩოხელმა ყვავი შეაყვარა მკითხველს. სოფლის დეკანოზმა ბუთულა ჩოხელმა ყვავი მოიშინაურა, ისე კვებავდა როგორც შინაურ ფრინველს. ცხრა წელი განუყრელად ცხოვრობდნენ ბუთულა და ყვავი, ერთმანეთს ცხოვრებას უმსუბუქებდნენ. ადამიანი გარეული ფრინველის ან ცხოველის მოშინაურებით გარკვეულ სარგებელს პოულობს. ბუთულა იმდენად არმიწიერია, რომ მან ზარალი ნახა ყვავის მოშინაურებით: შინაური ფრინველის გამოსაკვებ საკენკს უყრიდა ყვავს. სამაგიეროდ ბუთულამ დიდი სულიერი სიმშვიდე მოიპოვა. ყვავი და ადამიანი სრული ჰარმონიით ცხოვრებდნენ, გასაოცარ ერთგულებას იჩენდნენ ერთმანეთის მიმართ. ეს ჰარმონია ცხრა წლის განმავლობაში არ დარღვეულა. ბუთულასა და ყვავის ხანგრძლივმა თანაარსებობამ გააცოფა ეშმაკი. ეშმაკმა ბუთულას მეზობელი მახარა აცდუნა. მახარას შეეძლო ყვავი ისევე მოეშინაურებინა, როგორც ბუთულამ მოიშინაურა. ბუთულას მიერ ყვავის მოშინაურება იყო სიკეთის გამოხატულება (ე.ი. ღმერთისათვის სათნო საქციელი), მახარას ასეთი მისწრაფება არ ჰქონდა, იგი ეშმაკის ცდუნებით მოქმედებდა. ამიტომ იყო, რომ მახარამ ადამიანისა

და ყვავის ცხრაწლიანი თანაარსებობა დაარღვია და ბუთულას ყვავი გადაიბირა. ეშმაკმა გაიმარჯვა.

ბუთულას რეაქცია სავსებით კანონზომიერია: სამართლიანობა მოსამართლემ უნდა აღადგინოს. დამცირებული კეთილი ადამიანის, ბუთულას, ქმედება თითქოს ისევ მისი სიკეთის გამოხატულებაა – ბუთულას მეზობლის მიმართ ძალადობა აზრადაც არ მოსვლია. თუ უფრო ღრმად ჩავუკვირდებით ბუთულას საქციელს, აქაც ეშმაკის კვალს დავინახავთ. ეშმაკმა ბუთულაც აცდუნა – მეზობელს უჩივლა. ეშმაკი კვლავ ზეიმობს. მეზობლების ერთმანეთთან საბოლოოდ დასაპირისპირებლად ახლა მოსამართლის ცდუნება იყო საჭირო. აცდუნა კიდეც. ყყვავის კუთვნილების გარკვევის ის მეთოდი, რომელიც მოსამართლემ შეარჩია, ასევე ეშმაკისგან იყო. ასე რომ, ყვავის კუთვნილების დადგენამდე ირკვევა, რომ სამი მთავრი პირი: ბუთულა, მახარა და მოსამართლე – ეშმაკის ნებით მოქმედებდა. ყვავი სასამართლო ექსპერიმეტს არ დაემორჩილა: არც ბუთულას ბანზე დაჯდა და არც მახარასაზე (ე.ი. ყვავის პატრონი ვერ გაირკვა), მოსამართლის ქუდს დაასკლინტა და გაფრინდა. აბსურდი გაგრძელდა.

ზემოთ ვთქვით, რომ გოდერძი ჩოხელმა პოლიტიკური პამფლეტი აბსურდში გადაიყვანა და ამით თხრობას გასაოცარად კომიკური ხასიათი მისცა. მიუხედავად ამისა, მოთხრობა სახუმარო (გასართობ) ამბად არ იქცა. ეს იმიტომ,

რომ მწერალმა არ უღალატა ჩვეულ სტილს და აბსურდული სიუჟეტით ადამიანთან ეშმაკის დაუსრულებელ ბრძოლაზე მიანიშნა. ეშმაკისაგან ცდუნებული ადამიანები (ბუთულა, მახარა, მოსამართლე, სოფლელები) გამოსავალს ვერ პოულობენ. მოსამართლე მისი შეურაცხმყოფელი ყვავის დაჭერას ითხოვს, ყვავი კი სოფელს აღარ ეკარება, გადიკარგა. შეწუხებული სოფლელები ჩიოდნენ:

– სამას წელს მაინც არ ცოცხლობდეს, საბუთი გვექნებოდა, დაბერდა და მოკვდაო.

ზემოთ ავღნიშნეთ: პოლიტიკური პამფლეტი აბსურდში გადავიდა, თუმცა უაღრესად დახვეწილი კომიზმი სასაცილო, გასართობ ამბად არ იქცა. დასასრული კი სულაც არ იყო კომიკური. აბსურდი დასრულდა. დადგა გოდერძი ჩოხელისეული დასასრულის დროც. შეწუხებული, თავმობეზრებული ადამიანებისაგან საშველი ღმერთმა მხოლოდ ბუთულას მისცა: „ბუთულას რა ენაღვლება, მოკვდა სიბერით".

ბუთულა იმიტომ კვდება, რომ მწერალს იგი ყველაზე მეტად უყვარდა, ყველაზე მეტად ებრალებოდა. ვერ დატოვებდა გოდერძი ჩოხელი მართალ ბუთულას ცოდვილთა შორის.

26 მაისი, 2010 წელი

სიკეთისა და ბოროტების სამანი

ცოდვილია ადამიანი. ცოდვა–მადლი სიკვდილის შემდეგ დაიდება სასწორზე და უფალიც თავის მსჯავრს გამოიტანს: ან სასუფეველი და სამუდამო ნეტარება, ან ჯოჯოხეთი და სამუდამო სატანჯველი. იცის ადამიანმა ეს. იცის, მაგრამ მაინც ეჭვი ეპარება: ვაითუ არც სასუფეველია და არც ჯოჯოხეთი? იქნებ ყველაფერი ამ ქვეყნად მთავრდება? ღრღნის ეს ეჭვი ადამიანს. თუ ეშმაკმა იმძლავრა და ადამიანს გონება დაუბნელა, მაშინ რა ეშველება მზისქვეშეთს? რა ეშველებათ ადამიანებს? როგორ უნდა იცხოვრონ ერთად უფლის მცნებათა მიმდევარმა და მისმა უარმყოფელმა? – დაფიქრდა ყოველივე ამაზე გუდამაყრელი შუღლა, დაფიქრდა და შეეშინდა. ბრძენი კაცი იყო შუღლა ჩოხელი. იმთავითვე მიხვდა, რომ ცოდვიანი ცხოვრების მოსურნეთ უფლის სიტყვის ჭეშმარიტებაში ვერ დაარწმუნებდა. ეცოდებოდა შუღლას ჩოხის წმინდა გიორგის ერთგული ყმანი, უფლის ნებას მინდობილნი. ეცოდებოდა სოფელი ჩოხი, მაღალი მთის წვერზე დაბუდებული მზე რომ დაჰყურებდა „ჩაჭრილაის მთიდან". იფიქრა შუღლამ, ბევრი იფიქრა და გამოსავალიც იპოვა. ღმერთმა საიქიო ხომ ორად

გაყო – სასუფევლად და ჯოჯოხეთად – ჰოდა, შუღლამაც გადაწყვიტა, სააქაოც, სოფელი ჩოხიც, ორად გაეყო. თემის თავკაცმა სოფლელებს განუცხადა: „ის დიდი ლოდი იყოს სიკეთისა და ბოროტების საზღვარი“. ძალზე უბრალოდ განუმარტა შუღლამ სიკეთე და ბოროტება ადამიანებს:

– „ვინც დღეის მერე სიკეთეს ემსახურება, ის წმინდა გიორგის ემსახურება და მან უნდა იცხოვროს ლოდს აქეთ, წმინდა გიორგის ადგილში. აქვე უნდა დაიმარხოს სიკვდილის მერე“.

– „ვინც ან კაცს მოკლავს, ან იმრუშებს, ან სხვა რაიმე მიუტევებელ დანაშაულს ჩაიდენს, ის ბოროტ სულს ემსახურება და მას უფლება არ აქვს წმინდა ადგილში იცხოვროს. ასეთი კაცი უნდა მოვიკვეთოთ და დავასახლოთ ლოდის იქით, დევის სამკვიდრებელში. სამარხიც იქ უნდა ჰქონდეს“.

შუღლა კმაყოფილი უნდა ყოფილიყო: „მდუმარებამ დაისადგურა სამანს იქით. ღამე ერიდებოდნენ იმ ადგილებში სიარულს, ავი სულებისა ეშინოდათ“. არავის არ სურდა სამანს იქით დასახლება.

გაცოფდა ეშმაკი. გონება დაუბნელა მაშვნიას... და სამანს იქით პირველი მოსახლე გაჩნდა, მერე მეორეც დასახლდა, მესამეც... იმატა ცოდვილთა რიცხვმა.

მძიმე ტვირთი აიკიდა შუღლამ. არც ისე ადვილი აღმოჩნდა ცოდვა–მადლის განკითხვა, იმისი გარკვევა, თუ

ვინ უნდა დამარხულიყო სამანს იქით ან აქეთ. ბბერაის სიკეთეც ბევრი ჰქონდა ჩადენილი და ბოროტებაც. სამანს იქით უნდა გათხრილიყო მისი საფლავი თუ სამანს აქეთ? ეს კი აღარ იცოდა შუღლამ. თემმა ასეთი მსჯავრი გამოიტანა: ბერა ისე დამარხეს, რომ „ნახევარი მხარ–გვერდი სამანს აქეთ ჰქონდა, ნახევარი – სამანს იქით“.

ამით არ დამთავრებულა შუღლას საფიქრალი. შუღლას ბრძანებით სამანს იქით დასახლებულმა გულქანმა თავი ჩამოიხრჩო. ცოდვას კიდევ უფრო დიდი ცოდვა მიემატა. რა უნდა ეღონა შუღლას? „სამანს იქით არ სჭრიდა მისი ძალა“. დაეჭვდა შუღლა: იქნებ არც ღირდა გულქანის სამანს იქით დასახლება? იქნებ საერთოდ არ ღირდა სამანის დადება? სინანული გვიანი იყო. სამანს იქით დასახლებულმა გულქანს ასეთი განაჩენი გამოუტანეს: – „თავისმკვლელი თავისი ნებით ჰკლავს ღმერთის დიდ ნებას, მასში ჩასახლებულ სიცოცხლეს. ამიტომ ის არც ჯოჯოხეთის ღირსია და იმ ქვეყანაზე, ის ჯოჯოხეთზე ქვემოთ უნდა იტანჯებოდეს!“

მიხვდა შუღლა, რომ ძალზე ძნელი ყოფილა ადამიანთა ცოდვა–მადლის განკითხვა. ადამიანებს შორის ვეღარ გაძლო. „თადეოზი აირჩია შუღლამ თემის თავად. თვითონ გუდა–ნაბადი აიკრა და იმ მთის წვერზე დასახლდა, საიდანაც მზე ამოდის“.

დარწმუნდა ბრძენი გუდამაყრელი: ადამიანთა ცოდვა–მადლი მხოლოდ ღმერთმა უნდა განიკითხოს.

– სწორად მიგიხვდი სათქმელს, გოდერძი?

– აბა, რავი!

– ესე იგი არ მოგწონს ჩემი ნათქვამი?

– არა, მე ეგ არ მითქვამს!

– არ ჰქონდა შუღლას ადამიანთა ცოდვა–მადლის განკითხვის უფლება!

– შენც არ გაქვს შუღლას განკითვის უფლება!

– მაშ, რისი უფლება მაქვს?

– აირჩიო სამანს აქეთ გინდა დასახლება თუ იქით!

– შენ, ცხადია, სამანს აქეთ დასახლედებოდი!

– არა!

– მაშ, სად?

– მე ჩაღისავით მაგრად ჩავეკვრებოდი გორდაგორ დაგორებულ მთვარეს და ატატებული ლანდივით გამოვჩნდებოდი სამანის ორივე მხრიდან!

– ესე იგი ცოდვილ დედამიწას განერიდებოდი?

– ჰო.

– არ მოგენატრებოდით?

– მომენატრებოდით!

– სამანს აქეთ თუ სამანს იქით დასახლებულები?

– ორივენი.

– მაშ, რისთვისლა დასდე სამანი?

– სამანი მე არ დამიდია, სამანი ღმერთმა დასდო.

– მაშ, რისთვისლა დაწერე ეს მოთხრობა?

– ადამიანებს ღმერთის მიერ დადებული სამანი შევახსენე!

7 ივნისი, 2010 წელი

ვერ დარჩებოდა
მაქსინაი დედამიწაზე

ცხვარ–ბატკანი ადამიანისათვის არსებობის, სიცოცხლის შენარჩუნების ერთ–ერთი წყაროა. ცხვარ–ბატკანი არწივისთვისაც სიცოცხლის წყაროა. არწივთან შედარებით ადამიანს უპირატესობა აქვს, იგი ფლობს ფარას და ნება–ნება იკვებება კიდეც ცხვრისა და ბატკნის ხორცით. არწივმა ცხვარ–ბატკანი ადამიანს უნდა მოსტაცოს, რაც, ცხადია, არც ადვილია და არც თუ უხიფათო. ასეა ეს მას შემდეგ, რაც დედამიწაზე გაჩნდნენ ადამიანი, არწივი და ცხვარი. ეს ბრძოლა, ბრძოლა არსებობისათვის, დღემდე გრძელდება.

გოდერძი ჩოხელი გვარწმუნებს, რომ ის, რაც ჩვეულებრივი ადამიანისათვის ბრძოლაა, სინამდვილეში, უფლის ნებით დაშვებული ჰარმონიაა. ამ ჰარმონიის დანახვა ცოტა ძნელია, თუმცა თუ გოდერძი ჩოხელის მოთხრობა „არწივთან ფრენას“ გულდასმით წაიკითხავ, დარწმუნდები: ადამიანი, არწივი და ცხვარი ერთი მთლიანის განუყოფელი ნაწილები არიან, მათი არსებობის წესია ერთ მთლიანსა და განუყოფელში არსებობა.

გუდამაყრელებმა, კოტორაანთ მამუკაის ბრიგადის მწყემსებმა, ლაზარაანთ მაქსინაიმ და გაგიმ ყოველივე ზემოთ თქმული არ იციან. თოვლიანი საჯიხვეებიდან მოფრენილმა ერთმა არწივმა „წელს უკვე მესამე ცხვარ–ბატკანი მოსტაცა მაქსინაის“.მმიუხედავად ამისა, „ხანდახან, როცა არწივები დაიგვიანებენ, მოწყენილი არიან მწყემსები, ვერაფრით ერთობიან ამ უკაცრიელ მიდამოში“. გოდერძი ჩოხელისათვის ჰარმონიულ თანაცხოვრებას არღვევს არა არწივის მოფრენა და ცხვრის მოტაცება, არამედ არწივების დაგვიანება: „მეხუთე დღეა, აღარ გაუგონია მაქსინაის არწივის ყეფა“.

ადამიანის, არწივისა და ცხვრის ჰარმონიული თანაარსებობა უფლისაგან არის და მის ცენტრში, ისევე როგორც სამყაროს ცენტრში, ადამიანია. ადამიანთა მოდგმის მტერი – ეშმაკი – ამას ვერ ეგუება, ცდილობს ჰარმონიული თანაცხოვრება დაარღვიოს. ეშმაკი ადამიანის ცდუნებას იწყებს. მაქსინაი წყლის დასალევად წყაროსთან დაფრენილი არწივის მოკვლას ცდილობს. მწყემსი არწივს ჯოხს დაარტყამს და ორივე ხელს შემოხვევს, რომ არსად გაექცეს. არწივმა გაიბრძოლა და მაქსინაის ორივე ხელის მტევანში კლანჭები გაუყარა, ცაში აიტაცა და კლდის თავზე, ბუდეში მიიტანა. მაქსინაის არანაირი წინააღმდეგობის გაწევა არ შეეძლო, ორივე ხელის მტევანში არწივის კლანჭები ჰქონდა გაყრილი.

დაიწყო ადამიანისა და არწივის ისეთი ურთიერთობა, რომელიც მხოლოდ გოდერძი ჩოხელს შეეძლო წარმოედგინა. მაქსინაის ჭრილობები მოუშუშდა, არწივის კლანჭები ხელის მტევნებს შეეხორცა. თუ აქმდე მაქსინაის ეწადა არწივის კლანჭებისაგან განთავისუფლება და არწივი არ უშვებდა, ამიერიდან თვით არწივსაც აღარ ძალუძდა ადამიანის ხელის მტევნებიდან კლანჭების ამოღება.ადამიანი და არწივი ერთარსებად იქცნენ.

მაქსინაი დედალმა არწივმა გაიტაცა. სიუჟეტის განვითარებაში პირველი მოულოდნელობა ისაა, რომ დედალმა არწივმა, რომელიც კვერცხებზე იჯდა და მაართვეების გამოჩეკამდე საკვებით უზრუნველყოფა ესაჭიროებოდა, მაქსინაი არ მოკლა და ამდენად, ადამიანის ხორცით კვებაზე უარი თქვა. დედალმა არწივმა არც მამალ არწივს მოაკვლევინა მაქსინაი. მამალი არწივის წინააღმდეგობის მიუხედავად, დედალი არწივი მამალი არწივის მიერ მოპოვებული საკვებით (კურდღელი, ცხვარი) კვებავს მაქსინაის. ადამიანს ვერ აუხსნია, რატომ იქცევა ასე არწივი.

სიუჟეტი კვლავ მოულოდნელ განვითარებას იძენს. მამალი არწივი სამი დღე არ მოფრენილა, დედალი არწივი და მაქსინაი სამი დღე შიმშილობდნენ. ადამიანი ფიქრობს, რომ არწივი შიმშილით სიკვდილს, თავისი თავის და შთამომავლობის დაღუპვას მაქსინაის შეჭმას ამჯობინებდა. არწივმა შიმშილს გაუძლო, ადამიანი არ გაიმეტა. მომდევნო

დღეებშიც არწივები თავის ლუკმას უყოფდნენ მაქსინაის. მორიგ შიმშილს მაქსინაიმ ველარ გაუძლო და არწივის უბეში შეფარებულმა ბუდეში ჩადებული კვერცხებიდან ერთი შეჭამა. დედალი არწივი მიხვდა, რომ მაქსინაიმ კვერცხი შეჭამა, მაგრამ მაინც არ გაიმეტა სასიკვდილოდ.

სიუჟეტი ისე ვითარდება, რომ არწივის მიერ მაქსინაის შეჭმა თითქოს ბუნებრივი უნდა იყოს: თუ შიმშილით შეწუხებულმა ადამიანმა შეჭამა არწივის კვერცხი და სიცოცხლე მოუსწრაფა ჯერ არგამოჩეკილ მართვეს, რატომ არ უნდა შეეჭამა დედალ არწივს ადამიანი, ის ხომ ამით თავსაც გადაირჩენდა და შთამომავლობასაც. გოდერძი ჩოხელი ამ ლოგიკას არ აღიარებს. წარმოუდგენელი რამ ხდება: დედალი არწივი მაშინაც კი არ კლავს ადამიანს, როცა დაჭრილი მამალი არწივი მოკვდება და დედალ არწივს და ახლად გამოჩეკილ მართვეებს შიმშილით სიკვილი დაემუქრებათ.

არწივებმა ადამიანი შესაჭმელად ვერ გაიმეტეს. მაქსინაი არც კი დაფიქრებულა, არ უცდია აეხსნა არწივების საქციელი. მაქსინაის არსებაში გარდატეხა იმ წუთიდან დაიწყო, როცა მამალი არწივის სიკვდილს უყურა. არწივის სიკვდილის სცენა იმდენად შემზარავი, გამაოგნებელი იყო, რომ მაქსინაის სულში გარდატეხა სრულებით ბუნებრივად მოხდა. დაჭრილმა მამალმა არწივმა შეძლო უკანასკნელი ნადავლი, ბატკანი ბუდემდე მიიტანა:

„ჰაერში მამალი არწივი გამოჩნდა, ბატკანი მოეტანა და, კი არ დაჯდა, დაეხეთქა კლდეს...

მამალს თქრიალით ჩამოსდიოდა სისხლი ფერდიდან. დედალი გაშტერებული უყურებდა.

მამალი ფეხზე იდგა და ისე კვდებოდა. თვალებით აჭყივლებულ შვილებს უმზერდა და კვდებოდა ნელ–ნელა, სისხლის ჩხრიალით. მერე დედალ არწივს შეხედა, მერე მაქსინაის გაუყარა მზერა და ჩახლეჩილი ხმით დაიყეფა...

არწივმა მზეს შეხედა და ნება–ნება მოეშვა, დაიყეფა და ჩამოუვარდა თავი“.

გასაგებია რატომ უმზერდა არწივი აჭყივლებულ შვილებს. ამ მზერაში იქნებოდა სიყვარულიც, ალერსიც, სიამაყეც, იმედიც და სინანულიც. რატომ გაუყარა მზერა მომაკვდავმა არწივმა მაქსინაის? ხომ არ ინანა, რომ არ მოკლა ადამიანი, რომელმაც დედალ არწივს კვერცხი მოჰპარა და შეჭამა, ესე იგი თავისუფლად შეეძლო შეეჭამა მართვეებიც; ის ადამიანი, რომლის ჯილაგისაგან ერთ–ერთმა მას თოფი ესროლა და სიცოცხლე მოუსწრაფა. ეს საიდუმლო თან წაიღო არწივმა და გოდერძი ჩოხელმა...

ლამაზად მოკვდა მამალი არწივი. ასეთი სიკვდილი ყველას არ ძალუძს: „მაქსინაიმ თავი დახარა“, თავი დახარა არწივის ვაუკაცური სიკვდილის დამფასებელმა ადამიანმა. იქნებ იფიქრა კიდევაც მაქსინაიმ: შეეძლო თავად ასეთი ერთგულება, ასეთი სიკვდილი?

სიუჟეტი ისე ვითარდება, რომ თითქოს გარდაუვალი უნდა ყოფილიყო მაქსინაის სიკვდილი: დედალმა არწივმა მართვეები ადამიანის ხორცით უნდა გამოკვებოს, სხვა გზა მას არ დარჩენია. ასეთი დასასრული ლოგიკური იქნებოდა, მაგრამ არა გოდერძი ჩოხელისეული. ჯერ დასასრული ნაადრევია. გოდერძი ჩოხელი ახლა შედის თავის სტიქიაში, ახლა უნდა თქვას თავისი სათქმელი. თქვას ის, რისთვისაც დაწერა „არწივთან ფრენა“.

ლოგიკის საწინააღმდეგოდ, მაგრამ არა გოდერძი ჩოხელისეული ლოგიკისა, დედალი არწივი არ შეჭამს ადამიანს, არ შეჭამს პრაქტიკულად უკვე მისი სხეულის ნაწილს და მართვეებისათვის საკვების მოპოვების მიზნით ცხვრის ფარისაკენ გაფრინდება. ცხადია, არწივი თან წაიღებს მაქსინაისაც, რომლის ხელის მტევნებშიც ჩახორცებულია არწივის კლანჭები. შია მაქსინაის, შია არწივს, შიათ ბუდეში მყოფ რამდენიმე დღის წინ დაჩეკილ მართვეებს. არწივი ფარისაკენ კი გაფრინდა, მაგრამ მას ბატკნის მოტაცება აღარ შეუძლია, რადგან კლანჭები მაქსინაის ხელის მტევნებში აქვს გაყრილი და ჩახორცებული. ბატკანს ფეხს მაქსინაი შემოახვევს და არწივი და ადამიანი ბუდისაკენ გაფრინდებიან.

გადარჩა ადამიანი, გადარჩა არწივი, გადარჩნენ მართვეებიც.

მაქსინაი ადამიანია და დედამიწაზე ადამიანურად ცხოვრება სწადია.მმეორე დღეს, როცა არწივი წყაროსთან დაფრინდა მაქსინაიმ იქვე წინასწარ მწყემსების მიერ მისთვის დატოვებული დანა აიღო, არწივს ერთი ფეხი მოაჭრა და ცალი ხელი გაითავისუფლა.აარწივი მაინც აფრინდა.მმეორე ფეხი მაქსინაიმ არწივს უკვე ჰაერში მოაჭრა, მეორე ხელიც გაითავისუფლა და მიწაზე დაეცა.

სიუჟეტი თითქოს აქ უნდა დასრულებულიყო: ადამიანი დაბრუნდა დედამიწაზე.ddა უკვე მერამდენედ სიუჟეტი ახალ და მოულოდნელ განვითარებას იძენს:

„უფეხოდ ხომ ველარ ინადირებს, – გაიფიქრა მაქსინაიმ და წარმოიდგინა სამი დედისაკენ კისერწაწვდილი ყელტიტველი მართვე".

მაქსინაის გულში აღძრული სინანული ბუნებრივია, მაგრამ გოდერძი ჩოხელს ბუნებრივი დასასრული სულაც არ ხიბლავდა.

დასასრული სრულიად მოულოდნელი აღმოჩნდა. გოდერძი ჩოხელმა კიდევ ერთხელ აქცია ალოგიკური ლოგიკურად.მმიწაზე დაშვებულ ფეხებმოჭრილ არწივს მწყემსები მოსაკლავად უახლოვდებიან. აარწივი მათ ვერ ხედავს.

„მაქსინაიმ არწივს აუქშია.

არწივმა კაცები დაინახა და ფრთები აიქნია.

ვერაფრით ველარ აიწია ჰაერში. მაშინ მაქსინაი ფეხზე წამოდგა და კაცებისაკენ კი არ წავიდა, პირიქით, გაექცა მათ.."

საით გაიქცა მაქსინაი? რამდენიმე დღე ის ხომ ადამიანებთან დაბრუნებას ლამობდა და ამისათვის ორივე ფეხი მოაჭრა არწივს. რატომ გაურბის ადამიანებს მაქსინაი?

„არწივი ფრთებს აქნევდა და აფრენასაც ცდილობდა. მმაქსინაი ეხმარებოდა, კაცები უკან მისდევდნენ.

კლდის პირზე არწივმა მოახერხა ჰაერში აფრენა. მაქსინაიმ ახლა უფრო შეიკეცა ფეხები.

არწივმა წრე მოხაზა".

– გოდერძი! რატომ გაჰყვა მაქსინაი არწივს?

– სხვაგვარად არ იქნებოდა!

– მაქსინაი რომ არწივს აფრენაში დახმარებოდა, მაგრამ თვითონ დედამიწაზე დარჩენილიყო?

– მაშინ არწივიცა და მართვეებიც დაიღუპებოდნენ.

– ესე იგი მაქსინაი არწივისა და მართვეების გადარჩენის მიზნით გაჰყა არწივს?

– იყო კიდევ სხვა, უფრო დიდი, მიზეზი.

– რა მიზეზი?

– ვალი ჰქონდა მაქსინაის გადასახდელი.

– დედალი არწივის ვალი?

– კიდევ უფრო დიდი ვალი.

– მართვეების ვალი?

– კიდევ უფრო დიდი ვალი.

– ვის წინაშე? რა ვალი?

– მომაკვდავი არწივის ვალი!

– მე გოდერძი ჩოხელი არა ვარ და ცოტა მიჭირს ეგეთი რაიმეს გაგება. მითხარი, რისთვის დაწერე ეს მოთხრობა?

– ადამიანმა, არწივმა და ცხვარმა იმ წესით უნდა იარსებონ დედამიწაზე რა წესიც ოდითგანვე დაუდგინა ღმერთმა. ვინც ამ წესს დაარღვევს, ის ვალშია და უნდა მოიხადოს ვალი!

12 ივნისი, 2010 წელი

ცოდვილის სიკვდილი

„ადამიანდ ყოფნის“ „ადამიანად არყოფნაში“ გადასვლა, კავშირი ამ ქვეყნიურსა და იმ ქვეყნიურს შორის გოდერძი ჩოხელის მუდმივი საფიქრალი იყო. ერთხელ ალბერტ აინშტაინს ჰკითხეს: სიკვდილის გეშინიათ? პასუხი: მეშინია... ისე კი საინტერესო უნდა იყოს... სიკდილის საიდუმლო აინტერესებდა გოდერძი ჩოხელსაც, საერთოდ სიკვდილის და კერძოდ ცოდვილის სიკვდილის საიდუმლო.აამ თვალსაზრისით შედეგრებად უნდა მივიჩნიოთ „სამანს იქით დასახლებულნი“ და „მღვდლის ცოდვა“, გასაკუთრებით კი, – „მღვდლის ცოდვა“.

ცოდვილი იყო ბერაი ჩოხელი, „შვიდ ოცი“ კაცი ჰყავდა მოკლული.ბბერაის ადამიანი შეიძლება საერთოდ არ მოეკლა, ქისტებს რომ მისი სოფლის ჯოგი არ გაეტაცათ და შიმშილით სიკვდილისათვის არ გაეწირათ დიდი და პატარა. ხუთი წელი ხოცავდა ბერაი ქისტებს, ხუთი წელი იცავდა თავის სოფელს. გოდერძი ჩოხელი მისთვის დამახასიათებელი ოსტატობით გვარწმუნებს: არ იყო ბერაი მკვლელი. ამიტომ იყო, რომ როგორც კი ქისტებმა მშვიდობის სანაცვლოდ ხარკი იკისრეს, ბერაი უყოყმანოდ დათანხმდა.

დამშვიდდა „შვიდ ოცი“ ქისტის მომკვლელი გუდამაყრელი. გოდერძი ჩოხელი თითქოს შეუმჩნევლად ბერაის მიმართ სიმპათიით იმსჭვალება. შემთხვევით არაა, რომ ქისტებთან მშვიდობის ჩამოვარდნის პირველ დღესვე „ბერაი კერასთან იჯდა და სანთელს ახვევდა“. აშკარაა, რომ მწერალი მიგვანიშნებს ბერაის სულში მომხდარ დიდ გარდატეხაზე.ბბერაი ცოდვებს ინანიებდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ქისტების დამშინებელი და დამხარკველი გუდამაყრელი ხატის გორაზე დადგებოდა და გამარჯვებული იერით გაჰხედავდა მისთვის ხარკის მოსართმევად მისულ ქისტებს.ბბერაი ასე არ მოიქცა იმიტომ, რომ მას, ქისტებზე გამარჯვების მიუხედავად, საზეიმო განწყობილება სულაც არ ჰქონდა. „შვიდ ოცი“ ქისტის მკვლელი სულზე და იმ ქვეყნიურ ცხოვრებაზე ფიქრობდა. მწერალმა იმაზეც მიგვანიშნა, რომ ბერაის სიკვდილისათვის მზად იყო, მზად იყო უდრტვინველად მიეღო სასჯელი.

ბერაი ჩოხელი ძმამ მოკლა ღალატით. ძმისაგან ღალატს ელოდა ბერაი: „იცოდა, რომ შურდა ძმას მისი სახელი და ახლა მაინცადამაინც არ გაჰკვირვებია იმისი მტრობა“. ქისტების დამწიოკებელი ადრე თუ გვიან ელოდა სასჯელს, სასჯელს დიდი ცოდვებისათვის.ბბერაი თავს ცოდვილად მიიჩნევდა. ამიტომ იყო, რომ „სამანს იქით“, ცოდვილთა გვერდით, ითხოვა დაკრძალვა:

„– სამანს იქით დამმარხეთ, შუღლავ.

– რატომ?

– ცოდვა მაქვს ჩადენილი.

– რამდენი ქისტი მოკალ?

– შვიდ ოცი.

– მტრის მოკვლა ცოდვად არ გეთვლება.

– ვიცი.

– მაშ რა ცოდვა გაქვს?

– იმ შვიდ ოციდან სამი სული მაწევს ცოდვად“.

ორი ქისტის, ნეფისა და დედოფლის, ქორწილის დროს მოკვლა, ისევ ქისტეთში ჩვილი ბავშვის მოკვლა – აი რა ცოდვები აწუხებდა სასიკვდილოდ დაჭრილ ბერაის. განსაკუთრებით ჩვილი ბავშვის მოკვლა ტანჯავდა მას: „მესამე ცოდვა ამ ორზე უფრო მძიმეა“.

ლამაზად მოკვდა ბერაი ჩოხელი. ძმისაგან ნატყორცნი ისარი დამსახურებულ სასჯელად მიიღო, ცოდვები აღიარა, ჩადენილ ცოდვათაგან ყველაზე მძიმეც გამოყო და ღმერთის მსჯავრის მომლოდინე გავიდა ამ სოფლიდან.

ცოდვილი იყო შიო მღვდელი, წითელი მღვდელი. შემთხვევითი არაა რომ გოდერძი ჩოხელი შიო მღვდელის მიერ ცოდვიანი ცხოვრების დაწყებას საბჭოთა რეჟიმს არ უკავშირებს. შიოს უამრავი ცოდვა ჯერ კიდევ მანმადე ჰქონდა ჩადენილი. სულ ერთი წინადადებით მიგვანიშნებს მწერალი: „ღმერთთან კარგა ხანია შემომწყრალი იყო“. საბჭოთა რეჟიმმა ახალი ასპარეზი მისცა ღმერთთან

„შემომწყრალ“ მღვდელს: „როცა შიო მღვდელმა, ახალი ცხოვრების დადგომასთან ერთად, შავი ანაფორა გაიხადა და მის ნაცვლად წითელი სატინის გულისჯიბეებიან ხალხათში გამოეწყო, იმ დღიდან შეარქვა ხალხმა წითელი მღვდელი“. აანაფორის გახდა იმხანად არ ითვლებოდა არაჩვეულებრივ მოვლენად. ბევრი მღვდელი სიკვდილის მუქარით აიძულეს გაეხადა ანაფორა. მწერალი არსად ამბობს, რომ შიო აიძულეს, შიომ ანაფორა თავისი ნებით გაიხადა სრულიად კონკრეტული მიზნით: „ახლად ჩამოყალიბებულ კოლმეურნეობასაც ამავე ხალათში გამოწყობილი ჩაუდგა სათავეში. ხალხის თავკაცობა და თავმჯდომარეობა ძალიან შეიფერა“. წითელი მღვდელი აქ არ შეჩერებულა, კიდევ უფრო დიდი ცოდვა ჩაიდინა. შიომ ასე მიმართა ხალხს: „ჩვენ იქიდან უნდა დავიწყოთ ჩვენი ნამდვილი ცხოვრება სადაც თვითონ ღმერთმა დაასრულა და ამით საბოლოოდ დაამტკიცა თავისი არარსებობა, – მიმართა კოლმეურნეობის კრებაზე შიომ ხალხს და ახალი ცხოვრება იმით დაიწყო, რომ საუკუნეების მანძილზე წმინდა ადგილად მიჩნეულ ხატის მოედანზე ხალხს ქვა მიატანინა და ეკლესიის მოპირდაპირე მხარეს ბოსელი ააშენებინა“. – ცოდვით დაცემული სხვებსაც ცოდვისაკენ ეზიდებოდა.

შიო საბჭოთა რეჟიმის წარმომადგენლებს არ დაუშინებიათ, არც ვინმეს უბიძგებია ამ უდიდესი ცოდვის

ჩადენისაკენ. შიომ ეს გზა თავად აირჩია – ეშმაკის მსახურად თავის ნებით იქცა.

ბერაი ჩოხელიც ცოდვილია და შიო მღვდელიც ცოდვილია. ბერაიმ ჩვილი ბავშვი მოკლა, საქორწინო სუფრაზე მოკლა ნეფე დედოფალი. შიოს ამგვარი ცოდვა არ ჩაუდენია. მიუხედავად ამისა გოდერძი ჩოხელი გვარწმუნებს: ბერაი ღმერთს არ განდგომია და ცოდვებიც მუდამ აწუხებდა; შიო მღვდელი ღმერთს განუდგა და ამიტომ ჩადენილი ცოდვების გამო სინდისის ქენჯნა არასდროს უგვრძნია.

ბერაი ჩოხელმა ბევრი მოძალადე, მძარცველი და მისი სამშობლოს დამაქცევარი ქისტი საკუთარი ხელით დახოცა, ერთ ჩვილსა და ნეფე დედოფალსაც საკუთარი ხელით მოუსწრაფა სიცოცხლე. შიომ უამრავი ადამიანი გააუბედურა. მის გულბოროტებას საზღვარი არ უჩანდა. ათეული წლების განმავლობაში ათასგვარი მზაკვრული ხერხით უშხამავდა ადამიანებს სიცოცხლეს, ბევრი მათგანი შეეწირა მის შურსა და ბოღმას. ბერაიმ ათი მცნებიდან მხოლოდ მეექვსე მცნება („არა კაც–ჰკლა“) დაარღვია და იმასაც მწარედ განიცდიდა. შიო მღვდელმა ღმერთი უარყო, დაარღვია მეექვსე მცნება („არა კაც–ჰკლა“), მეშვიდე მცნება („არა იმრუშო“), მერვე მცნება („არა იპარო“), მეცხრე მცნება („არა ცილი–სწამო...“), მეათე მცნება („არა გული გითქვამდეს ცოლისათვის მოყვასისა შენისა... არცა ყოვლისა მისთვის, რაიცა იყოს მოყვასისა შენისა“) და მიუხედავად ამისა ერთხელაც არ

მოუნანიებია, პირიქით ცოდვას ცოდვას უმატებდა.ბბერაი ცოდვიანი ცხოვრების შემდეგ დამშვიდდა: „კერასთან იჯდა და სანთელს ახვევდა“. შიომ სისხლის წყურვილი ვერ მოიკლა, ადამიანების გაუბედურება მოთხოვნილებად ექცა.

შიოს ავკაცობისა და გულბოროტების აღკვეთა მხოლოდ ღმერთმა შეძლო. სასჯელი საშინელი იყო. შიოს ეჩვენებოდა, რომ ყვავი კი არ ჩხაოდა, არამედ ჩხავილის ნაცვლად შიოს მიერ სხვდასხვა დროს გაუბედურებული ადამიანების სახელს იძახდა. რამდენიმე დღეში ყვავმა უამრავი დაღუპულის სახელი შეახსენა შიოს. ბერაისაგან განსხვავებით შიოს მონანიების სურვილი არც ამჯერად გასჩენია, პირიქით გაბოროტდა და მისი მამხილებელი ყვავის დასჯა გადაწყვიტა. შიოს მიერ მოგონილი სასჯელი საშინელი იყო. მას შეეძლო ყვავი თოფით მოეკლა, მაგრამ ასე არ მოიქცა. შიომ ყვავის არყოფნის დროს ბუდიდან კვერცხები ამოიღო, მოხარშა და ისევ ბუდეში ჩააწყო. ცხადია, ყვავი ამას ვერ მიხვდა და მშვიდად ელოდებოდა როდის გამოიჩეკებოდნენ ბახალები. შიო ტკბებოდა მოტყუებული ყვავის ცქერით. ბუდეში დიდ ხანს ჯდომით ყვავი ისე დასუსტდა რომ საკვების მოპოვების თავიც არ ჰქონდა, წყლის დასალევადაც ვეღარ მიფრინავდა. ბოლოს ყვავი წყურვილისაგან და შიმშილისაგან სიკვდილის პირას მივიდა. კმაყოფილმა შიომ იმ ხის მოჭრა დაიწყო, რომელზეც ყვავს ბუდე ჰქონდა. გაბოროტებულს ყვავის თავისი ხელით მოკვლა სურდა, თუმცა იცოდა, რომ ყვავი

ისეც მოკვდებოდა.ააქ კი ღმერთმა შიოს ბოროტებას ზღვარი დაუდო. მოჭრილი ხე შიოს დაეცა.ყყვავზე ადრე მისი სიცოცხლე შეიწირა...

ლამაზად მოკვდა ბერაი: თავის ცოდვებზე დაფიქრებული, მტერთან შერიგებული, მონანული, ღმერთის მსჯავრს მინდობილი. საზიზღრად მოკვდა შიო: ღმერთის უარმყოფელი, ყველაზე და ყველაფერზე გაბოროტებული, მოყვასის წინააღმდეგ დაუცხრომლად მებრძოლი, ყვავთან ბრძოლაში დამარცხებული.

რას განიცდიდა სიცოცხლისა და სიკვდილის მიჯნაზე მდგარი ბერაი ჩოხელი, რას ფიქრობდა, რას ნატრულობდა, მწერალს არ უთქვამს. სამაგიეროდ გოდერძი ჩოხელმა დახატა ამ ქვეყნიდან შიოს გასვლის სულისშემძვრელი სურათი. ცოდვილის სიკვდილი ისეა აღწერილი, რომ თითქოს ხილვა იყოს, ხილვა ცხადი და სრულიად ნათელი. ყველაფერი ისე დამაჯერებელია, რომ ზოგჯერ ვეღარ არჩევ: ტექსტს კითხულობ, ნახატს უყურებ თუ ფილმს.

მის მიერვე ყვავის მოკვლის მიზნით მოჭრილი ხის ქვეშ მოყოლილი, სასიკვდილოდ განწირული შიო გონს რომ მოვიდა, რაც დაინახა „ჩასასვლელად გამზადებული წითელი მზე“ იყო. „თვითონაც თვალებში სისხლი მოსწოლოდა და ყველაფერს წითლად ხედავდა“. შემდეგ დაიწყო საშინელი ტანჯვა:

„სოფლიდან მტრედები ამოფრინდნენ და მსუბუქად აიჭრნენ ცაში.

შიოს რატომღაც მოეჩვენა, რომ ეს მტრედები იმათი სულები იყო, ვინც კი ოდესმე მისი მიზეზით გამოესალმა ამ წუთისოფელს“.

შიო ალბათ ვერასდროს წარმოიდგენდა, რომ ასეთი შემზარავი სიკვდილი ერგებოდა: „საზარელ სიმარტოვეს გრძნობდა სიკვდილის წინ. უნდოდა ვინმესთვის გადაეშალა გული, უნდოდა აღსარება ეთქვა, მაგრამ ახლომახლო კაციშვილი არ ჩანდა“.

საშინელი აღსასრული კი ასე დადგა:

„შიომ სისხლისფერ ცას შეხედა და შეძრწუნდა: ციდან სისხლის წვიმა წამოვიდა.

ეს იყო ყველაზე საშინელი განცდა მის ცხოვრებაში.

სასოწარკვეთილს ისევ ყვირილი მოუნდა.

ამჟამად მქისე ხრიალი აღმოხდა.

ეს არ იყო ყვირილი, არც რაიმე სხვა გრძნობის გამომხატველი ხმა.

ეს სულის ამოსვლა იყო.

ასე შორდება ცოდვილი სული შეჩვეულ სხეულს: მძიმედ, წვალებით და შემაზრზენი მქისე ხმურით“.

ებრალება გოდერძი ჩოხელს მონანული ცოდვილი ბერაი. არ ებრალება ღმერთის მგმობელი, წითელი მღვდელი შიო. თითქოს სიუჟეტი ლოგიკურ დასასრულამდე მივიდა. მოულოდნელად სიუჟეტი ახალ განვითარებას იძენს. შიოს კუბოში იმ ანაფორით ჩააწვენენ, რომელიც მან თავის ნებით

გაიხადა დიდი ხნის წინ.ეეს ანაფორა შიოს სკივრში ჰქონდა გადამალული და მხოლოდ ერთხელ მოუნდა მისი ნახვა.

შიოს მიერ ანაფორის შენახვა და შემდეგ კუბოში მიცვალებულის ანაფორით შემოსვა არ შეიძლება შემთხვევითი იყოს. შემთხვევით გოდერძი ჩოხელი ერთ სიტყვასაც არ წერდა. ხალხს რომ შიო კუბოში წითელი სატინის ჯიბეებიანი ხალათით ეხილა ჩათვლიდნენ, რომ ასაფლავებდნენ კოლმეურნეობის თავმჯდომარეს. კუბოში ანაფორით შემოსილი შიო რომ იხილეს, ხალხმა ეს დიდი ხნის წინ დაკარგული მღვდლის დაბრუნებად აღიქვა. ამიტომ იყო, რომ „ქალები შიო მღვდელს ტიროდნენ“. თითქოს გადაავიწყდათ, რომ ანაფორით შემოსილი შიო მღვდელი და წითელი სატინის ჯიბეებიანი ხალათით შემოსილი კოლმეურნეობის თავმჯდომარე ერთი და იგივე ადამიანი იყო.

გოდერძი ჩოხელმა ცოდვილი მღვდლის განსჯა თავს არ იდო: თავის დამოკიდებულება მწერალმა შიო მღვდლის ცოლის სიტყვებით გამოხატა: „მარტო ერთი ღმერთი არის მაგისი გამკითხავი, მეტი არავინ“.

დასასრული გოდერძი ჩოხელისებურია, განუმეორებელი და ბრწყინვალე: „დარჩა ერთ ადგილას ამოწეული მიწა, რომლისთვისაც სულ ერთია როგორი ტანსაცმლით ჩაუგორებენ უბეში ადამიანს. სული კი...“

19 ივნისი, 2010 წელი

რატომ ტირის გოდერძი ჩოხელი?

რატომ ტირის გოდერძი ჩოხელი? იმიტომ, რომ ცოდვიანია ეს ქვეყანა, ცოდვიანია ადამიანი, ცოდვას ცოდვა ემატება და მძიმდება მიწა. რა ჰქნას მან, ვისაც არ სურს ცოდვიანი ცხოვრება? რა უნდა ჰქნას და, მხარზე ამოსული ნაძვი რომ არ გაუხმეს, მიწაში ჩაიზარდოს და მიწად იქცეს, ან დედამიწაზე ოქროსფერი ხომალდი რომ მოფრინდება, მას გაჰყვეს ცაში. არადა, ადამიანს დედამიწაზე სურს ცხოვრება, მაგრამ ვერ ცხოვრობს. წასვლაც არ უნდა, დარჩენაც აუტანელია... ამიტომ ტირის გოდერძი ჩოხელი.

ზოგიერთებმა დარჩენას წასვლა არჩიეს და წავიდნენ კიდეც. მერე რა შეიცვალა ამით? უკეთესი გახდა ეს ქვეყანა? – არა. ცოდვა ისევ მატულობს. ისევ ცას შეჰყურებს და ისევ მიწას ჩასჩერებია ადამიანი. წავიდეს თუ დარჩეს? წასვლაც არ უნდა, დარჩენაც აუტანელია... რატომ არის ასე? – არავინ იცის ეტყობა, მუდამ ასე იქნება. თუ ასე იქნება, მაშინ რისთვისღა ვსვამთ კითხვას: რატომ ტირის გოდერძი ჩოხელი?

რატომ არის ასეთი ცოდვიანი ეს ქვეყანა? რატომ არის ასეთი საცოდავი ადამიანი? რატომ ფიქრობს მუდმივად

წასვლა–დარჩენაზე ადამიანი? ჩვენ რომ გვეგონა, ამისი პასუხი არავინ იცისო, თურმე სცოდნია გუდამაყრელ შუღლიანთ სებას:

– აეგეთია ეს ცხორება!

კითხვასაც და პასუხსაც მაშინ აქვს აზრი, თუ სებას ალარ ჩავეძიებით:

– მაინც როგორია?

თუ ეს კითხვა მაინც დასვა ვინმემ, სებას ნუ ჩააცივდება: გინდა თუ არა გამაგებინე, როგორია ეს ცხოვრებაო. სება ერთი გუდამაყრელი კაცია და მეტს ვერეფერს ათქმევინებ. თუ მაინცდამაინც სურს ვინმეს, პასუხი მიიღოს, გოდერძი ჩოხელის ყველა მოთხრობა და ლექსი უნდა წაიკითხოს. თუ ღმერთი შეეწია და ყველაფერს ჩასწვდა, დარწმუნდება: „როცა დიდია სიბრძნე, დარდიც დიდია; მრავლის შეცნობა ადამიანს წუხილს უმრავლებს“ (ეკლესიასტე, 1, 18).

იცოდა თუ არა ადამიანთა ცოდვაზე დაფიქრებულმა უცნობმა გუდამაყრელმა ეკლესიასტეს სიბრძნე? – ალბათ, არა. სამაგიეროდ, მან იცოდა, რომ სიცოცხლე სევდა არის, ადამიანდ ყოფნის ტკბილი სევდა; სიკვდილიც სევდა არის, ადამიანად არყოფნის სევდა. ეს სებამაც იცის და ამიტომაც სწამს: მიუხედავად დარდისა და წუხილის გამრავლებისა, წასვლას დარჩენა სჯობს!

27 ოქტომბერი„ 2005 წელი

შინაარსი

* ნუ გაახმობთ მხარზე ამოსულ ნაძვს! ---------- 3
* მართალი ბუთულა ცოდვილთა შორის ---------- 14
* სიკეთისა და ბოროტების სამანი ---------- 22
* ვერ დარჩებოდა მაქსინაი დედამიწაზე ---------- 27
* ცოდვილის სიკვდილი ---------- 36
* რატომ ტირის გოდერძი ჩოხელი ---------- 45

ტექსტი ააწყო გვანცა ბურდულმა
დააკაბადონა პაპუნა გურულმა
ყდა გააფორმა გიორგი ქავთარაძემ

გამომცემლობა „უნივერსალი"

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 22 36 09, 8(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge